

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 4

ქ.თბილისი

23.09.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კიკალიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი);
დიმიტრი ალავეძე - შპს „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;
თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;
იაგორ კალანდაძე - სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;
ზაქარია შველიძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
მადონა ჭიჭიანი - შპს „N5 კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუშია - დირექტორის მოადგილე;
ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ფურცხვანიძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ანა ბუჩუკური - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბერელიძე - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მიქაძე - სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსი;
მარინე ჟვანია - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნინო დურგლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარინა გარიშვილი - იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
დავით ბოსტოლანაშვილი - იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო დიანოსაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი;
გიორგი თუმანიშვილი - სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
ლევან ცაგარელი - მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
დავით აფრასიმე - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
კონსტანტინე სირბილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
იმერ ბასილაძე - სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი;
ვლადიმერ ადეიშვილი - პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

დავით ბოსტოლანაშვილი;
ბეჟან ჯავახია;
ნინო ქიმერიძე;
ნინო დიანოსაშვილი;
ნინო ლალანიძე;
თამარ ჩოკორაია.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18²⁵ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

22. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
23. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
24. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
25. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
26. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
27. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
28. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
29. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
30. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭოს წევრმა, ზაქარია შველიძემ განაცხადა, რომ ის არ მიიღებდა მონაწილეობას სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. საბჭომ დააკმაყოფილა საბჭოს წევრის, ზაქარია შველიძის აცხადების განცხადება.

აღნიშნულის შემდეგ, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ქეთევან ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი კორძაძია, ლევან ჯაყელი, კონსტანტინე ჩოკორაია.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

- სასურველია გაძლიერდეს ისეთი სპეცკურსები, რომლებიც მიმართული იქნება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ; სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იქნეს ასევე სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები და სამართლებრივი ეთიკა. პრაქტიკული კომპონენტები მიმართული უნდა იყოს დასაქმების სფეროს დივერსიფიკაციაზე.

- სასურველია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზის გაკეთება.

ცენტრი დაწესებულებას უწევს შემდეგ რეკომენდაციებს:

- სასურველია, უფრო მეტი სპეციალიზაციის საგნის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ფართო არჩევანის თავისუფლებას, მისცემს მას შესაძლებლობას, თავი აარიდოს არსებითად იდენტური შინაარსის მქონე სასწავლო კურსების გავლას და მაქსიმალურად ამოწუროს მისი ინტერესის სფეროში შემავალი საკითხები;

- სასურველია, დაწესებულებამ დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისათვის უზრუნველყოს კერძო/საჯარო მატერიალურ/საპროცესო სამართალში რეპეტიტორიუმის შეთავაზება, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს მოახდინოს მიღებული ცოდნის აკუმულირება და სისტემური გააზრება;

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამით საფაკულტეტო სავალდებულო საგნად გათვალისწინებულ იქნეს აკადემიური წერა ან აკადემიური წერის ელემენტები გათვალისწინებულ იქნას სამართლის მეთოდების შესწავლაზე ორიენტირებულ სხვა სასწავლო კურსებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ რეფერატებისა, თუ ესეების შესრულებას აკადემიური წერის სტანდარტების დაცვით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმიტირებული სასამართლო პროცესებისთვის დარბაზი უკვე არსებობს და მიმდინარეობს შესაბამისი სარემონტო სამუშაოები. მან ასევე განაცხადა, რომ ფაკულტეტის საბჭომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება რეპეტიტორიუმის შეთავაზების შესახებ.

წარმომადგენელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ აკადემიური წერა უნივერსიტეტისათვის არის პრობლემა და ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით დაწესებულებაში მიმდინარეობს კვლევა, რომლის შედეგების საფუძველზეც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ქეთევან ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი კორძახია, ლევან ჯაყელი, კონსტანტინე ჩოკორაია.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო აკადემიური წერის ელემენტების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს სპეციალისტებთან იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით წერილობითი კომუნიკაციის უნარს.

- სასურველია გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა, რაც მისცემს სტუდენტს მეტ შესაძლებლობას სამართლის დარგიდან სხვადასხვა სფეროს.

ცენტრი დაწესებულებას უწევს შემდეგ რეკომენდაციებს:

- საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

- სასურველია ერთმანეთისაგან მკვეთრად გაიმიჯნოს სამართლის ბაკალავრისა და საერთაშორისო სამართლის ბაკალავრის პროგრამები სწავლის შედეგების ნაწილში, უფრო მკვეთრად ჩამოყალიბდეს კომპეტენციები, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს დუბლირების საფრთხე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან, მან დასძინა, რომ უფრო მკაფიოდ უნდა მოხდეს პროგრამების შედეგების გამიჯვნა.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ქეთევან ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი კორძაძია, ლევან ჯაყელი, კონსტანტინე ჩოკორაია.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერება, რათა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების პრეზენტაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან უცხოურ ენაზეც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

- სასურველია კლინიკური კომპონენტების გაძლიერება, რაც განავითარებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარს.

ცენტრი დაწესებულებას უწევს სშემდეგ რეკომენდაციებს:

- სასურველია, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსი იყოს უფრო ვიწრო და სპეციალური, და შინაარსობრივი თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდებოდეს ბაკალავრიატის დონეზე შეთავაზებული სასწავლო კურსებისაგან, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს ჰქონდეს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნა;

- სასურველია სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ხარისხის ამაღლება და საწყის ეტაპზე განსაკუთრებით ღირებული, მომავალში კი ყველა ნაშრომის გამოქვეყნებაზე ორიენტირება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ქეთევან ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი კორძახია, ლევან ჯაყელი, კონსტანტინე ჩოკორაია.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია კლინიკური კომპონენტების გაძლიერება, რაც განავითარებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარს;
- სასურველია მეტი არჩევითი კურსების შემოღება მიმართულებების მიხედვით.

ცენტრი დაწესებულებას უწევს შემდეგ რეკომენდაციებს:

- სასურველია, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსი იყოს უფრო ვიწრო და სპეციალური, და შინაარსობრივი თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდებოდეს ბაკალავრიატის დონეზე შეთავაზებული სასწავლო კურსებისაგან, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს ჰქონდეს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნა;
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ხარისხის ამაღლება და საწყის ეტაპზე განსაკუთრებით ღირებული, მომავალში კი ყველა ნაშრომის გამოქვეყნებაზე ორიენტირება;
- სასურველია ერთმანეთისაგან მკვეთრად გაიმიჯნოს სამართლის ბაკალავრისა და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამები სწავლის შედეგების ნაწილში, უფრო მკვეთრად ჩამოყალიბდეს კვალიფიკაციისათვის დამახასიათებელი კომპეტენციები, რათა არ არსებობდეს დუბლირების საფრთხე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ქეთევან ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი კორძახია, ლევან ჯაყელი, კონსტანტინე ჩოკორაია.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, ცენტრს აქვს რეკომენდაციები:

- სასურველია სადისერტაციო ნაშრომები რეალურად იყოს ორიენტირებული სამეცნიერო სიახლეზე, არსებული ცოდნის გაფართოებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზზე, სინთეზსა და შეფასებაზე. განსაკუთრებით უნდა გამკაცრდეს დამოკიდებულება პლაგიატის მიმართ;
- სასურველია ბიბლიოთეკა პერიოდულად შეივსოს უახლესი ლიტერატურით. მეტად იყოს უზრუნველყოფილი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა.
- სასურველია სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხო ენის მოთხოვნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, რაც მიზანშეწონილია დასტურდებოდეს უცხო ენის დარგობრივი კომპეტენციების გამოვლენით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

თავმჯდომარის კითხვაზე პლაგიატთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ზოგადი პრობლემა და არ არის მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი. დაწესებულება ცდილობს მოაგვაროს ეს პრობლემა. ამ ეტაპზე ხდება ფორმალური გზების ძიება.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ზაზა რუხამე (თავმჯდომარე), ირაკლი კორძაია, დავით ბოსტოღანაშვილი, კონსტანტინე ჩოკორაია.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტაბილურად განვითარებისათვის განსკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობას მათ მიერ შეთავაზებულ კომპონენტებთან. აკადემიური პერსონალის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომებს, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - პრაქტიკულ გამოცდილებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემთხვევაში დამატებით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს პროფესიული გამოცდილება, სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები;

- სასურველია გაძლიერდეს ისეთი სპეცკურსები, რომლებიც მიმართული იქნება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ; სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იქნეს ასევე სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები და სამართლებრივი ეთიკა.

ცენტრი დაწესებულებას უწევს შემდეგ რეკომენდაციებს:

- სასურველია, უფრო მეტი სპეციალიზაციის საგნის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ფართო არჩევანის თავისუფლებას, მისცემს მას შესაძლებლობას, თავი აარიდოს

არსებითად იდენტური შინაარსის მქონე სასწავლო კურსების გავლას და მაქსიმალურად ამოწუროს მისი ინტერესის სფეროში შემავალი საკითხები;

- სასურველია, დაწესებულებამ დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისათვის უზრუნველყოს კერძო/საჯარო მატერიალურ/საპროცესო სამართალში რეპეტიტორიუმის შეთავაზება, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს მოახდინოს მიღებული ცოდნის აკუმულირება და სისტემური გააზრება;

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამით საფაკულტეტო სავალდებულო საგნად გათვალისწინებულ იქნეს აკადემიური წერა ან აკადემიური წერის ელემენტები გათვალისწინებულ იქნას სამართლის მეთოდების შესწავლაზე ორიენტირებულ სხვა სასწავლო კურსებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ რეფერატებისა, თუ ესეების შესრულებას აკადემიური წერის სტანდარტების დაცვით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან, დაწესებულება ზოგიერთ რეკომენდაციას იზიარებს ნაწილობრივ.

ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისური ენა დაწესებულებაში ისწავლებოდა პირველი ორი წლის განმავლობაში, როგორც სავალდებულო საგანი. გარდა ამისა, არსებობს დარგობრივი ინგლისური ენის სასწავლო კურსი, რომელიც ამზადებს სტუდენტს სასერტიფიკატო გამოცდებისთვის. არსებულ პროგრამაში უკვე არის ჩასმული სამართლებრივი ინგლისური. გარდა ამისა, უცხოენოვანი პროფესორები კითხულობენ ინგლისურ ენაზე კურსებს, თუმცა, ეს კურსები არ არის სავალდებულო.

პერსონალთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება შენიშვნას იზიარებს. ამასთან, უნივერსიტეტის სტრატეგია არის ის, რომ ჰყავდეს როგორც თეორიტიკოსი, ისე პრაქტიკოსი იურისტები. ძირითად საგანს კითხულობს თეორიტიკოსი იურისტი, ანუ ვისაც აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი. სპეცკურსებს კითხულობენ უფრო მეტად პრაქტიკოსი იურისტები - ადვოკატები, პროკურორები, ანუ ის პირები, რომლებიც გამოუმუშავებენ სტუდენტებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. დაწესებულება მთლიანად ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე.

აკადემიურ წერასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი რეკომენდაციას ეთანხმებიან ნაწილობრივ. ამ ეტაპზე რამდენიმე კურსში გათვალისწინებულია ეს წერითი კომპონენტი. არსებობს სამართლებრივი წერის არჩევითი სპეციალური კურსები. რაც შეეხება სამართლებრივ ეთიკას, ამ საგანს აქვს არჩევითი

სასწავლო კურსის სტატუსი. არსებობს ასევე მეორე არჩევითი საგანი - სამართლის პროფესიები, რაც ეხმარება სტუდენტს აირჩიოს, თუ რა მიმართულებით სურს სწავლის გაგრძელება. რაც შეეხება მეტი სპეციალიზაციის საგნების შეთავაზებას, დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას იზიარებს ნაწილობრივ, ვინაიდან შეთავაზებულია საკმაოდ ბევრი სპეციალიზაციის საგანი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მთავარია არა რაოდენობა, არამედ მრავალფეროვანება.

რეპეტიტორიუმთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს რეკომენდაციას.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: თამარ ვეფხვაძე (თავმჯდომარე), თამარ შუდრა.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამუნა შუდრა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია სილაბუსში გამოიყოს ცალკე გრაფა „სწავლების მეთოდები“, რაც კურსის ხელმძღვანელს საშუალებას მისცემს სწავლების მეთოდები ჩამოაყალიბოს დამოუკიდებლად და არ მოახდინოს მისი აღრევა სწავლების ფორმატში;
- სტუდენტის მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, სასურველი იქნება სილაბუსში მოხდეს საკონტაქტო საათების გაშლა;
- ვინაიდან სასწავლო კურსის წინაპირობა წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსის გავლის პრერეკვიზიტს, მიზანშეწონილია წინაპირობა ფორმულირებული იყოს კონკრეტული სასწავლო კურსის სახით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მითითებით „საგანს წინაპირობა არ აქვს“;
- სილაბუსის ფორმაში საქონტაქტო საათების გრაფაში ასევე მითითებულია დამოუკიდებელი მუშაობა. სასურველია დამოუკიდებელი მუშაობა ცალკე გრაფის სახით გამოიყოს.

ცენტრი დაწესებულებას უწევს რეკომენდაციას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გააძლიეროს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან, ინგლისურს ენის კურსები უზრუნველყოფილია დაწესებულებაში. რაც შეეხება პროფესიული ინგლისურს, აღნიშნულს გაითვალისწინებს დაწესებულება.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევებისა და კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: თამარ ვეფხვაძე (თავმჯდომარე), თამარ შუდრა.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამუნა შუდრამ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსებისა და მოდულების კომპეტენციების რუკა წარმოდგენილია ექვსი მახასიათებლის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. რაც შეეხება სასწავლო კურსებისა თუ მოდულების სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებს, ისინი წარმოდგენილია ზოგადი და ტრანსფერული უნარების მიხედვით. თუმცა, აქ არ არის რანჟირება პროგრამის კომპეტენციების რუკის შესაბამისად. სასურველია, მოხდეს მათი მოყვანა შესაბამისობაში;

- სამაგისტრო პროგრამაში იყო მსგავსი ხარვეზები - დამოუკიდებელ მუშაობასთან, სწავლების მეთოდებთან, წინაპირობებთან და საკონტაქტო საათების გაშლასთან დაკავშირებით. ამდენად, სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, რეკომენდაციები საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციების მსგავსია.

ცენტრი დაწესებულებას უწევს რეკომენდაციას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გააძლიეროს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების დისკრეციაა, თუ როგორ და რა ფორმით ჰქონდეს სილაბუსი. ამასთან, ეს პროგრამა არის ახალი, პირველ სტუდენტებს დაწესებულება მიიღებს წელს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევებისა და კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევებისა და კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ეკატერინე გიგაშვილი (თავმჯდომარე), ნინო ელბაქიძე, ნინო ფურცხვანიძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის მისიაში ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინება, რომელიც მკაფიოდ არ სჩანს პროგრამის მიზანში;
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს დაწესებულებისა და დამსაქმებლებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტაცია, რომელიც გაითვალისწინებს მათ ჩართულობას პროგრამის განვითარების პროცესში;
- სასურველია სტუდენტს ჰქონდეს პირადი მონაცემების კონფიდენციალობის შესაძლებლობა;
- მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ჩაატაროს კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხების კვლევა;
- სასურველია მოხდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში ცვლილების შეტანა სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობისთვის განკუთვნილი საათების გათვალისწინებით.

ცენტრი დაწესებულებას უწევს რეკომენდაციას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გააძლიეროს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

სხდომაზე გამოიკვია, რომ დაწესებულების წარმომადგენელს არ ჰქონდა მინდობილობა და საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, დაევალა რომ უახლოეს დღეებში წარმოედგინა მინდობილობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მოსამზადებელი (ერთწლიანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ეკატერინე გიგაშვილი (თავმჯდომარე), ნინო ელბაქიძე, ნინო ფურცხვანიძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის მისიაში ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინება, რომელიც მკაფიოდ არ ჩნას პროგრამის მიზანში;
- სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ბაზრის მოთხოვნებს, რისკებს, პრობლემების აღმოფხვრის ალტერნატივებს;
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს დაწესებულებასა და დამსაქმებლებს, აკადემიური პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტაცია, რომელიც გაითვალისწინებს მათ ჩართულობას პროგრამის განვითარების პროცესში;
- მნიშვნელოვანია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს როგორც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული ხარისხი.
- სასურველია მოხდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში ცვლილების შეტანა სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობისთვის განკუთვნილი საათების გათვალისწინებით.

23. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიქერიძე, ნინო ლაღანიძე, ნინო დიანოსაშვილი, თამარ ჩოკორაია, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამაში სასურველია მოხდეს მისანიჭებელი ხარისხის ქართულ-ინგლისური ვერსიის კორექცია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/5 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო);
- კრედიტები განაწილებულია შესაბამისი კომპონენტების მიხედვით. თუმცა, ექსპერტების აზრით, უმჯობესი იქნება სავალდებულო კურსების საკრედიტო მოცულობა (105 კრედიტი) შემცირდეს. ამით პროგრამის სტრუქტურა გახდება უფრო მოქნილი და გაიზრდება არჩევითობის შესაძლებლობა;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ბლოკში შეთავაზებულია სამი უცხო ენა, საიდანაც სტუდენტი სურვილისამებს ირჩევს ერთ-ერთს. ამ ბლოკში სასურველია არ ფიქსირდებოდეს ძირითადი სპეციალობის ენა იმ მიზნით, რომ სტუდენტი არ შეიზღუდოს არჩევანში;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ჩამონათვალს სასურველია დაემატოს აკადემიური წერა, რისი აუცილებლობაც დაადასტურა დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ;
- საფაკულტეტო სავალდებულო შესავალი კურსების ჩამონათვალი სასურველია მოდიფიცირდეს, კერძოდ, ყველა შესავალი კურსი გაერთიანდეს ერთ მოდულში. სავალდებულო სტატუსი შეუნარჩუნდეს კურსებს: *შესავალი ფილოსოფიაში* და *ენათმეცნიერების შესავალი*. ხოლო სხვა საფაკულტეტო შესავალ კურსებთან ერთად არჩევითის სტატუსით წარმოდგენილი იქნას ყველ დარგობრივი ფილოლოგიური შესავალი კურსები და ლიტმცოდნეობის შესავალი, რათა სტუდენტმა შეძლოს სურვილის მიხედვით შეარჩოს სასურველი სპეცილობა;

- ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსების ჩამონათვალს (ზოგადი ენათმეცნიერება) სასურველია დაემატოს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა კურსი არჩევითის სტატუსით, რაც ამჟამად გაწერილია სპეციალობისათვის სავალდებულო კურსების სიაში. შესაბამისად, პროგრამა გახდება მოქნილი, გაიზრდება არჩევითობის შესაძლებლობა.
- ვინაიდან საბაკალავრო საფეხური ითვალისწინებს ფართო დარგობრივი ცოდნის შექმნას კონკრეტულ სპეციალობაში, სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს ლიტერატურის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი და საეტაპო საკითხების შესწავლას. ხოლო, კონკრეტული სპეცკურსები შეთავაზებულ იქნას არა არჩევით ფორმატში, არამედ სწავლების შემდგომ საფეხურზე;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი იყოს საბაკალავრო ნაშრომი. ეს ხელს შეუწყობს კვლევითი კომპეტენციების გამომუშავებასა და გაღრმავებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე;
- მიზანშეწონილია შესწორდეს ტექნიკური უზუსტობა, რაც დაფიქსირდა დამატებით პროგრამაში (Minor). კერძოდ, წარმოდგენილი ზოგიერთი სასწავლო კურსის (უცხო ენის ორი პრაქტიკული კურსი) მიზანი, შინაარსი (ძირითადი თემები, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა), სწავლის შედეგები ძირითადი პროგრამის ანალოგიური საგნების მონაცემების იდენტურია. თუმცა, განსხვავებულია კრედიტების მოცულობა და საკონტაქტო საათების რაოდენობა ძირითადი პროგრამის ზემოხსენებულ საგანებში;
- სასურველია სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან;
- სასურველია თუ ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსების ჩამონათვალს დაემატება დისციპლინა *თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, რომელიც არჩევით კურსებშია გადატანილი იმ მიზნით, რომ კურსდამთავრებული დაეუფლოს მთარგმნელის ტექნიკებსა და ამ კომპეტენციების მიღების შემდეგ უფრო მეტად კონკურენტუნარიანი;
- პროგრამის თეორიული საგნების ფორმატი ითვალისწინებს სალექციო 2 საათსა და სასემინარო 1 საათს. სასურველია სასემინარო საკონტაქტო საათების გაზრდა იმ მიზნით, რომ სასწავლო პროცესი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სტუდენტზე და გამოუმუშაოს მას დამოუკიდებელი სწავლისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები;
- ვინაიდან სასწავლო პროგრამაში მითითებულია, რომ უცხო ენის (გერმანული) სწავლება ითვალისწინებს „საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ მოთხოვნებს, ბუნებრივია, ყოველი დასრულებული პრაქტიკული კურსი ენობრივი კომპეტენციების ზრდის შესაბამისად წინაპირობაა მომდევნოსი, რაც სასურველია აისახოს სილაბუსებშიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

24. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმიერიძე, ნინო ლაღანიძე, ნინო დიანოსაშვილი, თამარ ჩოკორაია, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამაში სასურველია მოხდეს მისანიჭებელი ხარისხის ქართულ-ინგლისური ვერსიის კორექცია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/5 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო);
- კრედიტები განაწილებულია შესაბამისი კომპონენტების მიხედვით. თუმცა, ექსპერტების აზრით, უმჯობესი იქნება სავალდებულო კურსების საკრედიტო მოცულობა (105 კრედიტი) შემცირდეს. ამით პროგრამის სტრუქტურა გახდება უფრო მოქნილი და გაიზრდება არჩევითობის შესაძლებლობა;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ბლოკში შეთავაზებულია სამი უცხო ენა, საიდანაც სტუდენტი სურვილისამებს ირჩევს ერთ-ერთს. ამ ბლოკში სასურველია არ ფიქსირდებოდეს ძირითადი სპეციალობის ენა იმ მიზნით, რომ სტუდენტი არ შეიზღუდოს არჩევანში;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ჩამონათვალს სასურველია დაემატოს აკადემიური წერა, რისი აუცილებლობაც დაადასტურა დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ;
- საფაკულტეტო სავალდებულო შესავალი კურსების ჩამონათვალი სასურველია მოდიფიცირდეს, კერძოდ, ყველა შესავალი კურსი გაერთიანდეს ერთ მოდულში. სავალდებულო სტატუსი შეუნარჩუნდეს კურსებს: *შესავალი ფილოსოფიაში და ენათმეცნიერების შესავალი*. ხოლო სხვა საფაკულტეტო შესავალ კურსებთან ერთად არჩევითის სტატუსით წარმოდგენილი იქნას ყველ დარგობრივი ფილოლოგიური შესავალი კურსები და ლიტმცოდნეობის შესავალი, რათა სტუდენტმა შეძლოს სურვილის მიხედვით შეარჩოს სასურველი სპეცილობა;

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი იყოს საბაკალავრო ნაშრომი. ეს ხელს შეუწყობს კვლევითი კომპეტენციების გამომუშავებასა და გაღრმავებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე;
- მიზანშეწონილია შესწორდეს ტექნიკური უზუსტობა, რაც დაფიქსირდა დამატებით პროგრამაში (Minor). კერძოდ, წარმოდგენილი ზოგიერთი სასწავლო კურსის (ინგლისური 3/4/5 ძირითად და დამატებით პროგრამაში) მიზანი, შინაარსი (ძირითადი თემები, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა), სწავლის შედეგები ძირითადი პროგრამის ანალოგიური საგნების მონაცემების იდენტურია. თუმცა, განსხვავებულია კრედიტების მოცულობა და საკონტაქტო საათების რაოდენობა ძირითადი პროგრამის ზემოხსენებულ საგანებში;
- სასურველია სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან;
- სასურველია თუ ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსების ჩამონათვალს დაემატება დისციპლინა *თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, რომელიც არჩევით კურსებშია გადატანილი იმ მიზნით, რომ კურსდამთავრებული დაეუფლოს მთარგმნელის ტექნიკებსა და ამ კომპეტენციების მიღების შემდეგ უფრო მეტად კონკურენტუნარიანი;
- პროგრამის თეორიული საგნების ფორმატი ითვალისწინებს სალექციო 2 საათსა და სასემინარო 1 საათს. სასურველია სასემინარო საკონტაქტო საათების გაზრდა იმ მიზნით, რომ სასწავლო პროცესი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სტუდენტზე და გამოუმუშაოს მას დამოუკიდებელი სწავლისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011

წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

25. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბექან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიქერიძე, ნინო ლაღანიძე, ნინო დიანოსაშვილი, თამარ ჩოკორაია, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- კრედიტები განაწილებულია შესაბამისი კომპონენტების მიხედვით. თუმცა, ექსპერტების აზრით, უმჯობესი იქნება სავალდებულო კურსების საკრედიტო მოცულობა (110 კრედიტი) შემცირდეს. ამით პროგრამის სტრუქტურა გახდება უფრო მოქნილი და გაიზრდება არჩევითობის შესაძლებლობა;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ჩამონათვალს სასურველია დამატოს აკადემიური წერა, რისი აუცილებლობაც დაადასტურა დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ;
- საფაკულტეტო სავალდებულო საგნებია შესავალი ისტორიის მეცნიერებაში, შესავალი ქართულ ფილოლოგიაში, ფილოსოფიის შესავალი და შესავალი კლასიკური ფილოლოგიაში. ამასთან, მიზანშეწონილია პროგრამაში მიეთითოს ფაკულტეტზე არსებული ყველა სპეციალობის შესავალი საგნები, საიდანაც სტუდენტი გააკეთებს არჩევანს 20 კრედიტის ფარგლებში. ეს მისცემს სტუდენტს უფრო მეტ თავისუფლებას სპეციალობის არჩევაში;
- პროგრამის თეორიული საგნების ფორმატი ითვალისწინებს სალექციო 2 საათსა და სასემინარო 1 საათს. ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია სასემინარო საკონტაქტო საათების გაზრდა. ამით სასწავლო პროცესი უფრო მეტად იქნება ორიენტირებული სტუდენტზე და ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სწავლისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია Minor-ში მითითებული ის საგნები, რომლებიც ასევე იკითხება Major პროგრამის ფარგლებში და აქვთ კრედიტების იდენტური როდენობა, წაკითხულ იქნას Major პროგრამის სტუდენტებთან ერთად;

- სასურველია სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

26. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმიერიძე, ნინო ლაღანიძე, ნინო დიანოსაშვილი, თამარ ჩოკორაია, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- კრედიტები განაწილებულია შესაბამისი კომპონენტების მიხედვით. თუმცა, ექსპერტების აზრით, უმჯობესი იქნება სავალდებულო კურსების საკრედიტო მოცულობა (110 კრედიტი) შემცირდეს. ამით პროგრამის სტრუქტურა გახდება უფრო მოქნილი და გაიზრდება არჩევითობის შესაძლებლობა;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ჩამონათვალს სასურველია დაემატოს აკადემიური წერა, რისი აუცილებლობაც დაადასტურა დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ;
- საფაკულტეტო სავალდებულო საგნებია შესავალი ისტორიის მეცნიერებაში, შესავალი ქართულ ფილოლოგიაში, ფილოსოფიის შესავალი და შესავალი კლასიკური ფილოლოგიაში. ამასთან, მიზანშეწონილია პროგრამაში მიეთითოს ფაკულტეტზე არსებული ყველა სპეციალობის შესავალი საგნები, საიდანაც სტუდენტი გააკეთებს არჩევანს 20 კრედიტის ფარგლებში. ეს მისცემს სტუდენტს უფრო მეტ თავისუფლებას სპეციალობის არჩევაში;
- პროგრამის თეორიული საგნების ფორმატი ითვალისწინებს სალექციო 2 საათსა და სასემინარო 1 საათს. ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია სასემინარო საკონტაქტო საათების გაზრდა. ამით სასწავლო პროცესი უფრო მეტად იქნება ორიენტირებული სტუდენტზე და ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სწავლისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია Minor-ში მითითებული ის საგნები, რომლებიც ასევე იკითხება Major პროგრამის ფარგლებში და აქვთ კრედიტების იდენტური რაოდენობა, წაკითხულ იქნას Major პროგრამის სტუდენტებთან ერთად;
- სასურველია სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან;

- ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია სილაბუსებში აგრეთვე მიეთითოს თანამედროვე დასავლური კვლევების შედეგების შესაბამისი ლიტერატურა. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ დაწესებულება უფრო მეტად იყოს ორიენტირებული ბიბლიოთეკის უახლესი ლიტერატურით აღჭურვაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

27. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიმიერიძე, ნინო ლაღანიძე, ნინო დიანოსაშვილი, თამარ ჩოკორაია, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით, უმჯობესია სავალდებულო კურსების მოცულობა (105 კრედიტი) შემცირდეს, რაც პროგრამის სტრუქტურას უფრო მოქნილს გახდის და გაზრდის არჩევითობის შესაძლებლობას;
- სასურველია საფაკულტეტო სავალდებულო შესავალი კურსების ჩამონათვალი გაიზარდოს: ყველა შესავალი კურსი გაერთიანდეს ერთ მოდულში, მათ შორის ყველა დარგობრივი ფილოლოგიური შესავალი კურსი და ლიტმცოდნეობის შესავალი, რათა სტუდენტმა შეძლოს სურვილის მიხედვით შეარჩიოს სასურველი სპეციალობა (სავალდებულო სტატუსი კარგია თუ შეუნარჩუნდება კურსებს: შესავალი ფილოსოფიაში და ენათმეცნიერების შესავალი);
- მიზანშეწონილია ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსების ჩამონათვალს დაემატოს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა კურსი არჩევითის სტატუსით (რაც ამჟამად გაწერილია სპეციალობისათვის სავალდებულო კურსების სიაში);
- სასურველია მომზადდეს და სტრუქტურას არჩევითის სტატუსით დაემატოს კურსი *თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, რათა ბაკალავრიატის კურსდამთავრებული უფრო მეტად კონკურენტუნარიანი იყოს დასაქმების ბაზარზე;
- კარგი იქნება საბაკალავრო პროგრამას სტუდენტისთვის მიეცა საბაკალავრო ნაშრომის წარმოდგენის შესაძლებლობა, რაც შემდგომში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე კვლევითი კომპეტენციების გაღრმავების წინაპირობაა. ამ მიზნის მისაღწევად სასურველია კურიკულუმის ფარგლებში აკადემიური წერის სასწავლო კომპონენტის დამატება სავალდებულო სტატუსით. სტრუქტურაში *აკადემიური წერის* საჭიროება დაადასტურა დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ;

- ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია შესწორდეს ტექნიკური უზუსტობა, რაც დაფიქსირდა დამატებით პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში. კერძოდ, წარმოდგენილი ზოგიერთი სასწავლო კურსის (უცხო ენის ორი პრაქტიკული კურსი) მიზანი, შინაარსი (ძირითადი თემები, სავალდებულო და დამხამრე ლიტერატურა), სწავლის შედეგები ძირითადი პროგრამაში არსებული ანალოგიურია კურსების მიზნის, სწავლის შედეგების და შინაარსისა, თუმცა განსხვავებულია მათი კრედიტების მოცულობა და საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- ვინაიდან საბაკალავრო საფეხური ითვალისწინებს ფართო დარგობრივი ცოდნის შექმნას კონკრეტულ სპეციალობაში, სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს ლიტერატურის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი და საეტაპო საკითხების შესწავლას, ხოლო კონკრეტული სპეცკურსები, როგორებიცაა მონტესკიე და ქართული მწერლობა, ფრანგული სარაინდო რომანი, სასურველია, მომზადდეს შემდგომი საფეხურის სასწავლო კურსებად;
- ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, თუ მომზადდება მოდული კლასიკურ ფილოლოგიაში (მაგ.: ანტიკური ცივილიზაციის ისტორია, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ძვ. ბერძნული ენა, ლათინური ენა), რისი რესურსიც უნივერსიტეტს აქვს. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ სპეციალობიდან გამომდინარე შეარჩიონ მათთვის საჭირო კურსები (ამ ეტაპზე სტრუქტურაშია კურსი *შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში*, რომელიც თემატურად გადატვირთულია და, ვფიქრობთ, არარეალისტურია ამ მასალის ათვისება); შესაძლებელია ასევე კლასიკური ფილოლოგიაში დამატებითი სპეციალობის (minor) პროგრამის მომზადება;
- აკადემიური ხარისხი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში მიზანშეწონილია ითარგმნოს როგორც - BA of Humanities in Philology.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

28. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიქერიძე, ნინო ლაღანიძე, ნინო დიანოსაშვილი, თამარ ჩოკორაია, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- კრედიტები განაწილებულია შესაბამისი კომპონენტების მიხედვით. თუმცა, ექსპერტების აზრით, უმჯობესი იქნება სავალდებულო კურსების საკრედიტო მოცულობა (120 კრედიტი) შემცირდეს. ამით პროგრამის სტრუქტურა გახდება უფრო მოქნილი და გაიზრდება არჩევითობის შესაძლებლობა;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ჩამონათვალს სასურველია დაემატოს აკადემიური წერა;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი იყოს საბაკალავრო ნაშრომი. ეს ხელს შეუწყობს კვლევითი კომპეტენციების გამომუშავებასა და გაღრმავებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე;
- საფაკულტეტო სავალდებულო საგნებია შესავალი ისტორიის მეცნიერებაში, შესავალი ქართულ ფილოლოგიაში, ფილოსოფიის შესავალი და შესავალი კლასიკური ფილოლოგიაში. ამასთან, მიზანშეწონილია პროგრამაში მიეთითოს ფაკულტეტზე არსებული ყველა სპეციალობის შესავალი საგნები, საიდანაც სტუდენტი გააკეთებს არჩევანს 20 კრედიტის ფარგლებში. ეს მისცემს სტუდენტს უფრო მეტ თავისუფლებას სპეციალობის არჩევაში;
- პროგრამის თეორიული საგნების ფორმატი ითვალისწინებს სალექციო 2 საათსა და სასემინარო 1 საათს. ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია სასემინარო საკონტაქტო საათების გაზრდა. ამით სასწავლო პროცესი უფრო მეტად იქნება ორიენტირებული სტუდენტზე და ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სწავლისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია Minor-ში მითითებული ის საგნები, რომლებიც ასევე იკითხება Major პროგრამის ფარგლებში და აქვთ კრედიტების იდენტური რაოდენობა, წაკითხულ იქნას Major პროგრამის სტუდენტებთან ერთად;

- სასურველია სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან;
- ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია სილაბუსებში აგრეთვე მიეთითოს თანამედროვე დასავლური კვლევების შედეგების შესაბამისი ლიტერატურა. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ დაწესებულება უფრო მეტად იყოს ორიენტირებული ბიბლიოთეკის უახლესი ლიტერატურით აღჭურვაზე.
- მიზანშეწონილია ლექციის მსვლელობისას უფრო მეტად იქნას გამოყენებული სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალება, რაც ხელს შეუწყობს მათ მასალის უკეთ აღქმასა და გაგებაში. ეს რეკომენდაცია განაპირობა სტუდენტებთან ინტერვიუმ.

ცენტრი დაწესებულებას უწევს რეკომენდაციას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გააძლიეროს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

29. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიქერიძე, ნინო ლაღანიძე, ნინო დიანოსაშვილი, თამარ ჩოკორაია, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- კრედიტები განაწილებულია შესაბამისი კომპონენტების მიხედვით. თუმცა, ექსპერტების აზრით, უმჯობესი იქნება სავალდებულო კურსების საკრედიტო მოცულობა (110 კრედიტი) შემცირდეს. ამით პროგრამის სტრუქტურა გახდება უფრო მოქნილი და გაიზრდება არჩევითობის შესაძლებლობა;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ჩამონათვალს სასურველია დამატოს აკადემიური წერა, რისი აუცილებლობაც დაადასტურა დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ;
- საფაკულტეტო სავალდებულო საგნებია შესავალი ისტორიის მეცნიერებაში, შესავალი ქართულ ფილოლოგიაში, ფილოსოფიის შესავალი და შესავალი კლასიკური ფილოლოგიაში. ამასთან, მიზანშეწონილია პროგრამაში მიეთითოს ფაკულტეტზე არსებული ყველა სპეციალობის შესავალი საგნები, საიდანაც სტუდენტი გააკეთებს არჩევანს 20 კრედიტის ფარგლებში. ეს მისცემს სტუდენტს უფრო მეტ თავისუფლებას სპეციალობის არჩევაში. მნიშვნელოვანია, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამაში წინაპირობად მიეთითოს ფილოსოფიის მეცნიერების შესავალი, როგორც სავალდებულო საგანი;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი იყოს საბაკალავრო ნაშრომი. ეს ხელს შეუწყობს კვლევითი კომპეტენციების გამომუშავებასა და გაღრმავებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე;
- პროგრამის თეორიული საგნების ფორმატი ითვალისწინებს სალექციო 2 საათსა და სასემინარო 1 საათს. ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია სასემინარო საკონტაქტო საათების გაზრდა. ამით სასწავლო პროცესი უფრო მეტად იქნება ორიენტირებული

სტუდენტზე და ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სწავლისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

- ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია Minor-ში მითითებული ის საგნები, რომლებიც ასევე იკითხება Major პროგრამის ფარგლებში და აქვთ კრედიტების იდენტური რაოდენობა, წაკითხულ იქნას Major პროგრამის სტუდენტებთან ერთად;
- სასურველია სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან;
- ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია სილაბუსებში აგრეთვე მიეთითოს თანამედროვე დასავლური კვლევების შედეგების შესაბამისი ლიტერატურა. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ დაწესებულება უფრო მეტად იყოს ორიენტირებული ბიბლიოთეკის უახლესი ლიტერატურით აღჭურვაზე.

ცენტრი დაწესებულებას უწევს რეკომენდაციას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გააძლიეროს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

30. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ბეჟან ჯავახია (თავმჯდომარე), ნინო ქიქერიძე, ნინო ლაღანიძე, ნინო დიანოსაშვილი, თამარ ჩოკორაია, ანა ბუჩუკური.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- კრედიტები განაწილებულია შესაბამისი კომპონენტების მიხედვით. თუმცა, ექსპერტების აზრით, უმჯობესი იქნება სავალდებულო კურსების საკრედიტო მოცულობა (110 კრედიტი) შემცირდეს. ამით პროგრამის სტრუქტურა გახდება უფრო მოქნილი და გაიზრდება არჩევითობის შესაძლებლობა;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების ჩამონათვალს სასურველია დამატოს აკადემიური წერა, რისი აუცილებლობაც დაადასტურა დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ;
- საფაკულტეტო სავალდებულო საგნებია შესავალი ისტორიის მეცნიერებაში, შესავალი ქართულ ფილოლოგიაში, ფილოსოფიის შესავალი და შესავალი კლასიკური ფილოლოგიაში. ამასთან, მიზანშეწონილია პროგრამაში მიეთითოს ფაკულტეტზე არსებული ყველა სპეციალობის შესავალი საგნები, საიდანაც სტუდენტი გააკეთებს არჩევანს 20 კრედიტის ფარგლებში. ეს მისცემს სტუდენტს უფრო მეტ თავისუფლებას სპეციალობის არჩევაში. მნიშვნელოვანია, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამაში წინაპირობად მიეთითოს ისტორიის მეცნიერების შესავალი, როგორც სავალდებულო საგანი;
- პროგრამის თეორიული საგნების ფორმატი ითვალისწინებს სალექციო 2 საათსა და სასემინარო 1 საათს. ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია სასემინარო საკონტაქტო საათების გაზრდა. ამით სასწავლო პროცესი უფრო მეტად იქნება ორიენტირებული სტუდენტზე და ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სწავლისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

- ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია Minor-ში მითითებული ის საგნები, რომლებიც ასევე იკითხება Major პროგრამის ფარგლებში და აქვთ კრედიტების იდენტური რაოდენობა, წაკითხულ იქნას Major პროგრამის სტუდენტებთან ერთად;
- სასურველია სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან;
- ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია სილაბუსებში აგრეთვე მიეთითოს თანამედროვე დასავლური კვლევების შედეგების შესაბამისი ლიტერატურა. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ დაწესებულება უფრო მეტად იყოს ორიენტირებული ბიბლიოთეკის უახლესი ლიტერატურით აღჭურვაზე;
- საქართველოს ისტორიის სწავლების დროს საგნები, რომელიც წარმოდგენილია ქრონოლოგიური პრინციპით და ისწავლება 6 სემესტრის განმავლობაში, მიზანშეწონილია დაყვანილ იქნას 5 სემესტრამდე. ეს მისცემს სტუდენტს შესაძლებლობას რომელიმე კურსის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაში, დაასრულოს საგნის შესწავლა სემესტრის დამატების გარეშე.

ცენტრი დაწესებულებას უწევს რეკომენდაციას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გააძლიეროს ინგლისურენოვანი კომპონენტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომა დასრულდა 20:35 საათზე

თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებელი
დავით კიკაღეიშვილი

მდივანი
დimitრი ალავიძე